საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№92/106

2013 წელი, 3 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრების ანი მიროტაძისა და თამარ კორძაიას წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების ანი მიროტაძისა და თამარ კორძაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/188; 29.08.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 3 სექტემბრის №92/48 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ზვიად ძიძიგური